

ხელშეკრულება
ააიპ ასოციაცია „ბუნებრივი ღვინოში“ გაწევრიანების შესახებ

ქ. თბილისი,

2021წ. 12 მარტი

ერთი მხრივ, ააიპ ასოციაცია „ბუნებრივი ღვინო“ ს/კ 416333248, მის: რუსთავი, ალ. მესხიშვილის ქ., №11, ბ. 81, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ მღვდლიაშვილის სახით (შემდგომში - ასოციაცია“),

და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი:-----

(სახელი და გვარი, პირადი ნომერი)

იურიდიული პირი: -----

(სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, წარმომადგენლობაზე უფლამოსილი პირი)
(შემდგომში - „ასოციაციის წევრი“),

შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, მოაწესრიგოს ასოციაციის წევრსა და ასოციაციას შორის წევრად მიღების შემდეგ წარმოშობილი ურთიერთობები.

მუხლი 2. ასოციაციის დასტური გაწევრიანებაზე

1. ასოციაცია ადასტურებს, რომ ასოციაციის წევრი მიღებულია წევრად განაცხადის საფუძველზე.
2. ასოციაცია ადასტურებს, რომ მიღებული წევრი აკმაყოფილებს ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ წინაპირობებს:
 - ა) იგი დაკავებულია საქართველოში ორგანული მევენახეობისა და ბუნებრივი მეღვინეობის განვითარებითა და გავრცელებით, ასევე, აკმაყოფილებს ასოციაციის წესდებითა და ამ ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პირობებს.
 - ბ) მას გააჩნია საკუთარი, ან მისი ოჯახის წევრის (დასაშვებია - მეუღლის, მშობლების, შვილების, დედამამიშვილების) 1000 კვ.მ. მსხმოიარე ვენახი და მარანი, რაც დასტურდება შესაბამისი ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან.
 - გ) მას, საკუთარებაში არსებული ვენახის გარდა, გააჩნია სარგებლობაში არსებული ვენახიც. სარგებლობაში არსებული ვენახი გულისხმობს ყურძნის შესყიდვას ასოციაციის არაწევრი მევენახისგან, რომელსაც აქვს სერტიფიცირებული ბიოვენახი ან ყოველწლიურად გადის ასოციაციის ინსპექტირებას

3. ასოციაცია ვალდებულია განახორციელოს ასოციაციის წევრის რეგისტრაცია ვებგვერდზე, მისი გაწევრიანებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 3. საწევრო გადასახადი, გადახდის წესი

1. ასოციაციის წევრობისათვის დადგენილია ყოველწლიური საწევრო გადასახადი, რომელიც გამოითვლება წევრის საკუთრებაში (ან სარგებლობაში) არსებული მსხმოიარე ვენახის ფართობის მიხედვით.
2. ასოციაციის წევრი, რომელსაც საკუთრებაში (ან სარგებლობაში) გააჩნია 5.000 კვ.მ.-ზე ნაკლები მსხმოიარე ვენახი, გათავისუფლებულია საწევრო გადასახადის გადახდისაგან.
3. საბაზისო საწევრო გადასახადი შეადგენს 400 ლარს. საბაზისო საწევრო გადასახადს იხდის ასოციაციის წევრი, რომელსაც საკუთრებაში (ან სარგებლობაში) გააჩნია 5.000 კვ.მ. - 30.000 კვ.მ. მსხმოიარე ვენახი.
4. ასოციაციის წევრი, რომელსაც საკუთრებაში (ან სარგებლობაში) გააჩნია 30.000 კვ.მ.-ზე მეტი მსხმოიარე ვენახი, საბაზისო საწევრო გადასახადის გარდა, ყოველ დამატებით 10.000 კვ.მ. ვენახზე იხდის 100 ლარს (მაგალითისთვის, თუ წევრს აქვს 50 000 კვ/მ მსხმოიარე ვენახი, მას გადასახადი ექნება 400+200 ჯამში 600 ლარი).
5. მსხმოიარედ არ ჩაითვლება 4 და მეტი წლის წინ გაშენებული ვენახი, თუკი იგი რაიმე ობიექტური მიზეზების (სეტყვა, ხანძარი, მეწყერი და ა.შ.) გამო, ვერ იძლევა იმის ნახევარ ყურძენსაც, რასაც, ჩვეულებრივ შემთხვევაში, 7 წლის ვაზი უნდა იძლეოდეს. ვენახის მსხმოიარობის შეფასება მოხდება კონკრეტულ ვენახში ინსპექტირების ჯგუფის დამატებითი ვიზიტის შემდეგ.
6. საწევრო გადასახადი გადახდილი იქნება წლის პირველ კვარტალში ასოციაციის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.
7. თუ ასოციაციის წევრი საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს დადგენილ ვადაში საწევროს გადასახადის დაფარვას, იგი ვალდებულია, წერილობით მიმართოს ასოციაციას და მოითხოვოს დამატებით 6 თვე დავალიანების დასაფარად.

მუხლი 4. ასოციაციის წევრის ვალდებულება ვენახის მიმართ

1. ასოციაციის წევრი ვალდებულია:
 - 1.1. გააშენოს და მოუაროს ვენახს ორგანული მოთხოვნების შესაბამისად.
 - 1.2. ვენახის მოვლის პროცესში შეძლებისდაგვარად გააუმჯობესოს არსებული ეკოსისტემა და დაიცვას ან განაახლოს მცენარეთა და ნიადაგის ბიომრავალფეროვნება.
 - 1.3. ვენახის მოვლისას გამოიყენოს მხოლოდ ბიოლოგიური ან კონტაქტურ-ქიმიური პრეპარატები, რომელიც აღიარებულია და გამოიყენება საერთაშორისო ბიო ან ბიოდინამიურ მევენახეთა საზოგადოებების/გაერთიანებების მიერ.
2. ასოციაციის წევრს ეკრძალება:

- 2.1. ბუნებრივ ვენახთან ერთად ჰქონდეს კონვენციური ვენახი, რაც წარმოადგენს პარალელურ წარმოებას
- 2.2. ნებისმიერი სახის სისტემური პესტიციდის, ნებისმიერი ჰერბიციდის და მინერალური სასუქების გამოყენება, მათ შორის, ვენახის გაშენების წინ ნაკვეთის გასუფთავებისას, სანერგის მოსაწყობად და ნერგების გამოყვანისას და სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უკავშირდება ვაზს და ვენახს.
3. ისეთი პრეპარატის გამოყენებისას, რომელიც არ არის ცნობილი, დაასაბუთოს მისი უვნებლობა, წარმოშობა და საერთაშორისო ბიო ან ბიოდინამიურ მევენახეთა საზოგადოებებისათვის მისი ცნობადობა.

მუხლი 5. ასოციაციის წევრის ვალდებულება ღვინის მიმართ

1. ასოციაციის წევრი ვალდებულია:
 - 1.1. ღვინის დაყენებისას არ გამოიყენოს ის ხერხები და საშუალებები, რომლებმაც შეიძლება, თვისებრივად შეცვალონ ღვინის ბუნებრივი ორგანოლექტიკური თვისებები.
 - 1.2. დააყენოს ღვინო მხოლოდ საკუთარი ან სარგებლობაში (იჯარით) არსებული ვენახის ყურძნისგან, რომლის მოვლაში და მართვაში ჩართული არიან უშუალოდ ასოციაციის ოჯახის წევრები და მოსავლის წლის განმავლობაში ინსპექტირებულია ასოციაციის მიერ.
2. ასოციაციის წევრი ვალდებულია, აუცილებლობის შემთხვევაში, გამოიყენოს მხოლოდ უხეში (3-4 მიკრონიანი და უფრო დიდი ფორების მქონე) ქაღალდის ან მუყაოს ფილტრი.
3. ასოციაციის წევრს ეკრძალება ღვინის დაყენების პროცესში ისეთი ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიკური ჩარევა, რამაც შესაძლოა, შეცვალოს ღვინის ბუნებრივი თვისებები. დაშვებულია მხოლოდ მარნის შიდა გარემოს ტემპერატურის რეგულირება. ღვინის დუდილი (ფერმენტაცია) დაშვებულია მხოლოდ ველური, ბუნებრივი საფუარის მეშვეობით.

მუხლი 6. ასოციაციის წევრის ვალდებულება ეტიკეტის მიმართ

1. ასოციაციის წევრი ვალდებულია ღვინის შეფუთვისას გამოიყენოს ეტიკეტი, რომელიც შეიცავს ზუსტ ინფორმაციას და სრულად ასახავს ღვინის წარმოშობას.

მუხლი 7. ასოციაციის წევრის ვალდებულება გოგირდის შემცველობის მიმართ

1. ასოციაციის წევრი ვალდებულია დაიცვას გოგირდის სართო შემცველობის შემდეგი პარამეტრები: იგი ლიტრზე არ უნდა აღემატებოდეს 50 მილიგრამს.
2. დაშვებულია გოგირდის დამატება ღვინოში, ბოთლში ჩამოსხმის წინ ან უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ფერმენტაციის შემდეგ დავარგებისას.

მუხლი 8. ასოციაციის ინფორმირების შესახებ

1. ასოციაციის წევრი ვალდებულია, მიაწოდოს ასოციაციას ინფორმაცია მის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ვენახებისა და მარნის შესახებ. ეს ინფორმაცია ასოციაციის წევრმა ასოციაციას უნდა მიაწოდოს ასოციაციის მიერ შემუშავებული ვენახის დეკლარაციის ფორმის (იხ. დანართი #2) და მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით.
2. შევსებული ვენახის დეკლარაცია და მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ასოციაციის წევრმა ასოციაციას უნდა მიაწოდოს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.
3. გარდა ამისა, ასოციაციის წევრი კისრულობს ვალდებულებას, სრულად ატვირთოს მარანთან და ვენახებთან დაკავშირებული ინფორმაცია ასოციაციის ვებ-გვერდზე.
4. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება ეხება იმ ნაკვეთებსაც, საიდანაც ასოციაციის წევრი აპირებს ყურძნის შექმნას ღვინის დასაყენებლად.
5. ასოციაციის წევრი ვალდებულია, მიაწოდოს ასოციაციას ინფორმაცია მის მარანში არსებული ღვინის მარაგების შესახებ. ეს ინფორმაცია მან ასოციაციას უნდა მიაწოდოს წელიწადში ერთხელ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს მის საკუთრებაში (ან სარგებლობაში) არსებული ვენახიდან დაყენებული ღვინის შესახებ.
6. ასოციაცია ვალდებულია, ასოციაციის წევრისაგან ინფორმაცია მიიღოს ნებისმიერი ფორმის ჩანაწერების სახით, რომელშიც ასახულია ვენახსა და მარანში წარმოებული საქმიანობა.
7. რთველის პერიოდში დაშვებულია მხოლოდ ასოციაციის წევრისგან, ასოციაციის მიერ ინსპექტირებული ვენახის ყურძნის ანდა საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ სერტიფიცირებული* ვენახის ყურძნის დამატებით შესყიდვა, რის შესახებაც წევრმა წერილობით უნდა აცნობოს ასოციაციას ამ შესყიდვის შესახებ და წლის ბოლომდე დამატებით გადაიხადოს დაანგარიშების წესის მიხედვით შესაბამისი საწევრო გადასახადი.

(* საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირების ორგანო წარმოადგენს ორგანიზაციას:

1. რომელიც ვენახების შემოწმებისას მოქმედებს ISO/IEC 17065:2012 სტანდარტის მიხედვით, ხოლო ვენახის ორგანულობას ადარებს ევროპული ან ჩდილო ამერიკული ნაციონალური მთავრობების მიერ შემუშავებულ ბიოსტანდარტებს.

2. რომლის მოღვაწეობა აკრედიტირებულია (ნება დართულია) ევროპის ან ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ნაციონალური მთავრობების აკრედიტაციის ორგანოს მიერ

3. რომლის მოღვაწეობა და საქმიანობა ყოველწლიურად მოწმდება აკრედიტაციის ორგანოს მიერ ჩატარებული აუდიტებით.

ასეთი ორგანიზაციებია მაგალითად: დემეტერი, კავკასსერტი, და .ა შ.

მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ საიტს: https://en.wikipedia.org/wiki/Organic_certification)

მუხლი 9. ასოციაციის ვალდებულება ინსპექტირებასთან დაკავშირებით

1. ასოციაცია უფლებამოსილია, ყოველწლიურად მოახდინოს ასოციაციის წევრის საკუთრებაში (ან სარგებლობაში) არსებული ვენახის ინსპექტირება
2. ასოციაცია ვალდებულია, ასოციაციის წევრი გააფრთხილოს გეგმიური ინსპექტირების შესახებ, ინსპექტირებამდე მინიმუმ 5-6 დღით ადრე.
3. ასოციაცია ასოციაციის წევრის ვენახის და მარნის ინსპექტირებას ახდენს დათვალიერებით, ასევე, ამოწმებს ვენახში გამოყენებულ პრეპარატებს, ეცნობა დოკუმენტებს და ჩანაწერებს.
4. შემოწმების დროს ასოციაციას უფლება აქვს, აიღოს ნიმუში გამოყენებული პრეპარატების შესამოწმებლად. ნიმუში შეიძლება იყოს ვენახის ფოთოლი, ნიადაგის სინჯი ან ყურძენი.
5. ასოციაციას უფლება აქვს, ჩაატაროს დამატებითი გაუფრთხილებელი ინსპექტირება მისთვის სასურველ დროს.
6. ასოციაციის მიერ ჩატარებულ ინსპექტირების ხარჯებს ანაზღაურებს ასოციაციის წევრი.
7. წევრს უფლება აქვს, ორჯერ თქვას უარი ინსპექტირების ვიზიტზე საპატიო მიზეზით. ინსპექტირების ჩატარებაზე მესამე უარი ასოციაციის მიერ განიხილება როგორც ინსპექტირების თავის არიდება, რის შემდეგაც ასოციაციის დამფუძნებლები განიხილავენ წევრობის შეჩერების საკითხს.
8. ინსპექტირების პროცედურა (იხ. დანართი #1) დამტკიცებულია ასოციაციის მიერ და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. ასოციაციის ნიშნის მინიჭების შესახებ

1. ასოციაცია უფლებამოსილია, წევრის მოთხოვნის საფუძველზე, მიანიჭოს ასოციაციის წევრის კონკრეტულ ჩამოსხმულ ღვინოს ასოციაციის ნიშანი (რომელიც წარმოადგენს ასოციაციის ლოგოს) წევრის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა დადგენილი პირობების დაცვის შემთხვევაში.
2. ასოციაციის ნიშანი შეიძლება მიენიჭოს ღვინოს, რომელიც დაწურულია (ჩამოსხმულია) ასოციაციის წევრის საკუთრებაში ან სხვა ფორმით სარგებლობაში არსებულ იმ ვენახში მოწეული ყურძნიდან, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმყოფებოდა წევრის ისეთი მეთვალყურეობის ქვეშ, რაც აძლევდა მას საშუალებას, პასუხისმგებლობა აიღოს ამ ვენახის ორგანულობაზე.
3. კონკრეტული ღვინისათვის ასოციაციის ნიშნის მისანიჭებლად ასოციაციის წევრი ვალდებულია, წარუდგინოს ასოციაციას ღვინის ნიმუში და შეავსოს ნიშნის გაცემის განაცხადის ფორმა (იხ. დანართი #3), სადაც მითითებული იქნება ყურძნის ჯიში, დაყენების წელი, ღვინის რაოდენობა და საერთო გოგირდის SO₂ შემცველობა ლიტრ ღვინოზე.
4. ასოციაციის წევრს უფლება აქვს, ასოციაციის ნიშანი დაიტანოს თავისი ღვინის ეტიკეტზე, რომელსაც მიანიჭეს იგი.

5. ასოციაციას უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს წევრის მოთხოვნა და უარი უთხრას მას მის ჩამოსხმულ ღვინოზე ნიშნის მინიჭებაზე, თუ ვენახსა და მარანში ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შეუსაბამოები.

მუხლი 11. რეალიზაციის აკრძალვა

1. ასოციაციის წევრს ეკრძალება არადეკლარირებული ყურძნისგან ან დეკლარირების დადგენილი ვადის შემდეგ შეძენილ ვენახში მოწეული ყურძნისგან დაყენებული ღვინის რეალიზაცია.

მუხლი 12. ასოციაციის წევრის ვალდებულება შესრულებული სამუშაოების აღრიცხვასთან დაკავშირებით

1. ასოციაციის წევრი ვალდებულია, აწარმოოს ვენახის მოვლის ჩანაწერები.
2. ვენახის მოვლის ჩანაწერები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ვენახშიჩატარებული ყველა ძირითადი სამუშაოს (გასხვლა, დახვნა, კულტივაცია, გაფურჩვნა, შეწამვლა და ა.შ.) შესახებ, ასევე - ინფორმაციას გამოყენებული პრეპარატების და ვენახში შეტანილი ამ პრეპარატების დოზების შესახებ.
3. აწარმოოს ყურძნის მოსავლის მიღების და დაწურვის ჩანაწერები.
4. ყურძნის მოსავლის მიღების და დაწურვის ჩანაწერები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსავლის მიღებისას რა რაოდენობის ყურძენი დაწურა და რამდენი ღვინო (ღვინომასალა) მიიღო.

მუხლი 13. ასოციაციის წევრის ვალდებულება ტერუარის საქმიანობის ხელშეწყობის მიმართ.

1. ასოციაციის წევრი ადასტურებს, რომ იგი აღიარებს ღვინის წარმოებაში ტერუარის პრიორიტეტულ წვლილს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ტერუარის თვისებების წარმოჩენას.

მუხლი 14. წევრობის შეჩერების შესახებ

1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია ასოციაციის წევრს შეუჩერდეს წევრობა
2. წევრობის შეჩერების წესი და პირობები გათვალისწინებულია სანქციების დოკუმენტში (იხ. დანართი #4).
3. წევრობის შეჩერების საფუძველი შესაძლებელია გახდეს, ასევე, საწევროს 3 ვადით გადაუხდელობა.
4. წევრობა შეჩერებულად ითვლება ასოციაციის უფლებამოსილი პირისაგან შეტყობინების მიღებისთანავე.

მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასოციაციიდან წევრის გასვლის ან მისი ასოციაციიდან გარიცხვის შემთხვევაში.
2. ასოციაციიდან ასოციაციის წევრის გასვლის წესი განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.
3. ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან ასოციაციის წესდებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:
 - 3.1. ასოციაციის წევრის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში (რაც დადასტურებულია ასოციაციის ინსპექტირების შემაჯამებელი ანგარიშით).
 - 3.2. ასოციაციისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში (რაც დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით);
 - 3.3. საწევროს 3 თვეზე მეტი ვადით გადაუხდელობის გამო;
 - 3.4. ასოციაციის მიერ დადგენილი პრინციპების დარღვევის გამო;
 - 3.5. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
4. ასოციაციის წევრს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ასოციაციის ხელშეკრულება საკუთარი ნების შესაბამისად. ასოციაციის წევრის მხრიდან ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, წერილობით აცნობოს ასოციაციას ამის შესახებ.

მუხლი 16. ასოციაციის წევრის პასუხისმგებლობა

1. ასოციაციის წევრის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მის მიმართ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. პასუხისმგებლობის გამოყენების წესი და პირობები მითითებულია ხელშეკრულების დანართ #4-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.
3. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.
4. ასოციაციის წევრის მიერ დეკლარაციის წარუდგენლობის ან მისი არასრულად შევსების შემთხვევაში მას, თავდაპირველად, შეიძლება უარი ეთქვას ასოციაციის ნიშნის გამოყენებაზე, ხოლო განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნული ემედება განიხილება როგორც ასოციაციის პრინციპების დარღვევა და წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან

მუხლი 18. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
2. ხელშეკრულება მოქმედებს ასოციაციის წევრობის მთელი პერიოდის განმავლობაში

მუხლი 19. დავები

1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელშემკვრელ მხარეებს შორის წარმოშობილი დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.
2. მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო.

მუხლი 20. შეტყობინება

1. მხარეებმა ერთმანეთისადმი შეტყობინებები უნდა განახორციელონ ამ მუხლში მითითებულ შემდეგ საკონტაქტო მონაცემებზე:

1.1 ასოციაცია

სახელწოდება ააიპ ასოციაცია „ბუნებრივი ღვინო“

მისამართი - რუსთავი, ალ. მესხიშვილის ქ., №11, ბ. 81

ტელ: +995 555 70 88 +995 599 96 33 17

ელ.ფოსტა: info@nwa.ge

1.2 წევრი

სახელწოდება - -----

მისამართი – -----

ტელ. - -----


ელ.ფოსტა – -----

მუხლი 21. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება, შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები, ამასთან მათ იურიდიული ძალა აქვთ, თუ ისინი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარეების მიერ.
2. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.
3. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

4. ხელშეკრულებაში მითითებული ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად
5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიულ ძალის მქონე ეგზემპლარისაგან, ქართულ ენაზე, სათითაოდ თითოეული მხარისათვის.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ასოციაცია	წევრი
ასოციაცია ბუნებრივი ღვინო	
ს/კ 416333248	
საქართველო, რუსთავი, ალ. მესხიშვილის ქ., №11, ბ. 81	
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE95TB7601236060100001	
დირექტორი: ზურაბ მღვდლიაშვილი 	

თარიღი: -----